დანართი N11
დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის
დირექტორის ბრძანება N2-148. 04.07.2023

მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

2023 წელი

მუხლი 1. პირველკლასელების ადაპტაცია სკოლაში

1. მომავალი პირველკლასელთა მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის ეწყობა ღია კარის დღე
2. პირველ კლასში შემოსვლამდე ახლომდებარე ბაღებთან ახლო კომუნიკაციით ეწყობა სკოლის დათვალიერება სკოლაში მოსვლამდე
3. სკოლაში შემოსვლამდე ახლომდებარე ბაღის აღსაზრდელებისა და სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები (ასფალტზე ხატვა, სპორტული შეჯიბრება, „ველომარათონი“ და სხვა)
4. სკოლაში შემოსვლის პირველ დღეს ტარდება საუბარი პირველკლასელებთან დამრიგებლის მიერ
5. პირველ კვირაში პირველკლასელები ეცნობიან სკოლის გეოგრაფიას. სად მდებარეობს ბუფეტი, სველი წერტილები გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა ექიმის ოთახი და ა. შ
6. პირველი კვირის შემდეგ პირველკლასელებს ეძლევათ საშუალება შემოსასვლელი კარიდან საკლასო ოთახამდე მივიდნენ დამოუკიდებლად დახმარების გარეშე (ამ დროს მნიშვნელოვანია სკოლის მანდატურებისა და მასწავლებლების განსაკუთრებული ყურადღება, რათა მოსწავლე სწორად აღმოჩნდეს ოთახში და ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების)
7. პირველი ორი თვის განმავლობაში პირველკლასელებს არ ეძლევათ საშინაო დავალებები და მასწავლებლები განსაკუთრებულად ეხმარებიან, რათა სასწავლი მასალა საკლასო ოთახშივე დაამუშაონ. ეს მნიშვნელოვანია მათი თვითშეფასების ასამაღლებლად.
8. პირველი კლასის საკლასო ოთახებში გამოიყოფა სივრცე არასაგაკვეთილო მიზნებისთვის. დასვენება, გართობა, თამაში
9. პირველკლასელებს საშუალება ეძლევათ სკოლაში ატარონ მათი საყვარელი სათამაშო, რომელიც ასევე საგაკვეთილო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული (მოუყვებიან ამბავს, გაუზიარებენ დღის ემოციებს და ა. შ)

მუხლი 2. სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაცია

1. კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ მოსწავლეს აცნობს კლასს
2. კლასის დამრიგებელი ახალ გადმოსულ მოსწავლეს ამატებს კლასის საერთო ჩეთში (13 წლის ზემოთ). ასევე ამატებს მშობელს მშობლების ჩეთში
3. დამრიგებელი კრებს იმფორმაციას საგნის მასწავლებლებიდან, ასევე აკვირდება მოსწავლეს სხვადასხვა გარემოში (გაკვეთილებზე, დასვენებაზე, სკოლის ბუფეტში...).
4. კლასში ახალი მოსწავლის გადმოსვლიდან მაქსიმუმ 1 კვირაში დამრიგებელი გეგმავს დამრიგებლის საათს შესაბამისი თემატიკით. თემატიკა შეიძლება იყოს:
   - ამოვიცნოთ მახასიათებლები, რასაც მეგობრობამდე მივყავართ;
   - შევიცნოთ, როგორ გავლენას ახდენს მეგობართა ჯგუფზე ახალი მეგობრის შეძენა;
   - როგორ შევიძინოთ ახალი მეგობრები;
   - სოციუმი ჩემ გარშემო
   - მე-პიროვნება
   - ჩემი სურვილები საკლასო ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად
   - მე და სხვები
   - მეგობრობის ძალა ერთობაშია და სხვა
5. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა სკოლით კმაყოფილების იდენტიფიცირებისთვის კლასის დამრიგებელი ატარებს გამოკითხვას (სავარაუდო კითხვარი მოცემულია დანართი N1-ში)

6. საჭიროების გამოვლენისთანავე კლასის დამრიგებელი მიმართავს დირექციას კონსულტაციისათვის
7. დამრიგებელი გეგმავს და ხელს უწყობს ახალი მოსწავლის ჩართვას მორიგეობაში, კლუბებში მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით
8. დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები ხელს უწყობენ ახალი მოსწავლის აზრის გამოხატვას. ახალისებენ მას
9. დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები შეგუების პროცესში მაქსიმალურად ერიდებიან ახალი მოსწავლის კრიტიკას.
10. დამრიგებელი თანამშრომლობს მშობელთან და ხშირად აცნობს ახალი მოსწავლის შესახებ ინფორმაციას მხარდამჭერის პოზიციიდან.
11. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მშობელთან ინდივიდუალური გასაუბრება. მშობელთან გასაუბრების სავარაუდო თემატიკა და რეკომენდაციები მოცემულია დანართი N2-ში

მუხლი 3. დასკვნითი დებულება

1. სკოლაში მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის დაცვის კონტოროლი ევალება სკოლის დირექტორის მოადგილეს
2. წინამდებარე მექანიზმი მტკიცდება სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით.
3. ცვლილებების და დამატებების განხორციელება შესაძლებელია ამ მუხლის მე-2. პუნქტის შესაბამისად.

დანართი 1

მოსწავლეთა კმაყოფილების სავარაუდო კითხვარი

1. მოგწონს სკოლაში?
1. კი 2. არც ისე 3. არა

2. დილაობით სიხარულით მიდიხარ სკოლაში თუ შინ დარჩენა გინდა?
1. სიხარულით მივდივარ 2. ზოგჯერ კი 3. შინ დარჩენა მირჩევნია

3. მასწავლებელმა რომ გითხრას, ხვალ სკოლაში მოსვლა ყველა მოსწავლისთვის არ არის აუცილებელიო, წახვიდოდი თუ სახლში დარჩებოდი?
1. სკოლაში წავიდოდი 2. არ ვიცი 3. სახლში დავრჩებოდი

4. გიხარია, როცა გაკვეთილი გიცდება?
1. არ მიხარია 2. ზოგჯერ კი 3. მიხარია

5. გინდა, რომ საშინაო დავალებებს არ გაძლევდნენ?
1. არ მინდა 2. არ ვიცი 3. მინდა

6. გინდა, რომ სკოლაში მხოლოდ დასვენებები იყოს, გაკვეთილები კი – არა?
1. არა 2. არ ვიცი 3. მინდა

7. ხშირად ესაუბრები მშობლებსა და მეგობრებს სკოლის შესახებ?
1. ხშირად 2. იშვიათად 3. საერთოდ არ ვესაუბრები

8. გსურს, სხვა, ნაკლებად მკაცრი მასწავლებელი გყავდეს?
1. მასწავლებელი მომწონს 2. არ ვიცი 3. მსურს

9. კლასში ბევრი მეგობარი გყავს?
1. კი 2. ცოტა 3. საერთოდ არ მყავს

10. თანაკლასელები მოგწონს?
1. მომწონს 2. არცთუ ისე 3. არ მომწონს

პირველი პასუხი – 3 ქულა, შუალედური პასუხი – 2 ქულა, მესამე პასუხი – 0 ქულა. max შეფასება – 30 ქ.
25-30 ქულა: მოსწავლეს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი თავისადმი როგორც მოსწავლისადმი დამოკიდებულება, მაღალი სასკოლო მოტივაცია.
20-24 ქულა – საკუთარი თავისადმი როგორც მოსწავლისადმი დამოკიდებულება პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია
15-19 ქულა – სკოლისადმი დამოკიდებულება დადებითია, მაგრამ სკოლა მოსწავლეს მოსწონს არასასწავლო თვალსაზრისით.
10-14 ქულა – არ არის ჩამოყალიბებული საკუთარი თავისადმი როგორც მოსწავლისადმი დამოკიდებულება
10 ქულა და ნაკლები – სკოლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

დანართი 2.

რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად:

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გააკეთოს მშობელმა დაუთმოს შვილს, დრო და ყურადღება, იყვნენ მხარდამჭერი და გაუწიონ დახმარება სირთულეების დაძლევაში.
- მშობლების დადებითი დამოკიდებულება სკოლისა და მასწავლებლების მიმართ გაუიოლებს ბავშვს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს;
- აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში დავეხმაროთ ბავშვს, ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების;
- ნუ გაგაღიზიანებთ ბავშვის წარუმატებლობა. ეცადეთ, მისი სასწავლო საქმიანობა მხოლოდ დადებითად შეაფასოთ, მაშინაც კი, თუ გეჩვენებათ, რომ მიღწეული წარმატება საკმარისი არ არის. ეცადეთ, მშვიდად შეხვდეთ მის მარცხს, რადგან პატარა მტკივნეულად განიცდის მშობლის განაწყენებას.
- ნუ ეჩხუბებით იმის გამო, რომ რაღაც კარგად ვერ გაიგო ან ვერ გააკეთა; წაახალისეთ ბავშვი დადებითი კომენტარებით, შექებით.
- სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღის რეჟიმის სწორად შედგენა. დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად სასურველია დღის რეჟიმის ორგანიზება (ძილის, გაღვიძების, ჭამის და.ა.შ.). საშინაო დავალებები უნდა შესრულდეს არა გვიან საღამოს, ძილის წინ, არამედ შუადღისას. გარდა ამისა, ბავშვს უნდა რჩებოდეს დრო თამაშისთვის, მულტფილმების საყურებლად, სასეირნოდ და ა.შ.
- განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ფიზიკურ აქტივობებს. პატარები ყველაზე დიდი გატაცებით მოძრაობით თამაშებს თამაშობენ. სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად, გაკვეთილებზე შესვენებების მიუხედავად, ბავშვის მოძრაობითი აქტივობა შესამჩნევად მცირდება, რაც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს მისი ზრდისა და განვითარებისთვის, აუცილებელია, ბავშვი სკოლის გარეთაც იყოს დაკავებული მოტორული აქტივობებით და თამაშებით.
- ხელი შევუწყოთ ბავშვის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და ვასწავლოთ მას სასკოლო სირთულეებისთვის დამოუკიდებლად თავის გართმევა; ეცადეთ უპასუხოთ ბავშვის ყველა კითხვას, ვინაიდან ცნობისმოყვარეობას ამ ასაკში საზღვრები არ გააჩნია;
- დაეხმარეთ ბავშვს თანატოლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. სასურველია მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
- გაითვალისწინეთ თქვენი შვილის ტემპერამენტი. აქტიურ ბავშვებს უჭირთ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა, დინჯი ბავშვებისთვის კი რთულია სასკოლო რიტმთან შეგუება;
- არასოდეს არავის შეადაროთ საკუთარი შვილი. ასეთი შედარებებით შეიძლება საკუთარი თავის რწმენა დავაკარგვინოთ და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შეიძლება მხოლოდ ბავშვის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მის წარსულ მიღწევებთან პოზიტიურ კონტექსტში.